286. ცაგერის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სახალხო დეპუტატთა ცაგერის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შენობა).
ცაგერის საქალაქო საბჭო (სოფლების ჩხუტელის და ლახსანის [illegible]და) და სასოფლო საბჭოები: ...ის, ლუხვანოს, ოყურეშისა [illegible] წიფერჩისა.

287. ალპანის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ალპანა).
სასოფლო საბჭოები: ალპანის, ...ის, ნაკურალეშის, ლასურიანის, ტვიშისა და ღვირიშისა.

288. ორბელის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ორბელი).
სასოფლო საბჭოები: ღალიასშის, ...ბელის, უსახელის, ცაგერის საქალაქო საბჭოს სოფლები ჩხუ...ი და ლასხანა.

წულუკიძის რაიონი

289. ქ. წულუკიძის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი წულუკიძე).
ქალაქი წულუკიძე.

290. კუხის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი კუხი).
სასოფლო საბჭოები: დედალაუ..., ივანდიდის, კუხის, გუბის, ...ირის და ძეძილეთისა.

291. მათხოჯის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი მათხოჯი).
სასოფლო საბჭოები: გორდის, ...ბის, მათხოჯისა და ნახანეთ...ისა.

სამტრედიის რაიონი

292. მარქსის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — რაიონის კულტურის ...ის შენობა).

საზღვრები: ლენინის ქუჩა ნინოშვილისა და ტოლსტოის ქუჩების გადაკვეთამდე, ჯონქაძის, რაზმაძის ქუჩები ჩიხებით, ტოლსტოის და პუშკინის ქუჩები, გორკის ქუჩაზე კომუნალური საცხოვრებელი სახლები № 1, 3, 10, ორჯონიკიძის ქუჩა პირველი ჩიხით თბილისის ქუჩის გადაკვეთამდე, თელიანს, ჯავახიშვილის, მარქსის, ძერჟინსკის ქუჩები, კეცხოველის ქუჩა მეორე ჩიხით, ძერჟინსკის ქუჩამდე რუსთაველის ქუჩა, კომკავშირის ქუჩა მდინარე ოფოფამდე, გამარჯვების ქუჩა მდინარე ოფოფამდე, გეგეშიძის ქუჩა ბოლომდე, ნინოშვილის ქუჩა ჩიხებით, ქართველიშვილის, ჯაფარიძის, მაიაკოვსკისა და არაყიშვილის ქუჩები, ძნელაძის ქუჩის კენტი ნომრები 31-დან და ლუწი ნომრები 80-დან ბოლომდე ჩიხებითა და შესახვევებით, სვერდლოვის, იმერეთის, ფიროსმანის, კოლხეთის, წინსვლის, მეგობრობის, ვაკუას ქუჩები შესახვევებითა და ჩიხებით, კალინინის ქუჩის ლუწი ნომრები 2-დან და კენტი ნომრები № 113-დან ბოლომდე ჩიხებითა და შესახვევებით, ახალგაზრდობის, ორპირის ქუჩები. კიკვიძის ქუჩის კენტი ნომრები № 115-დან და ლუწი ნომრები № 102-დან ბოლომდე, დავით აღმაშენებლის, ლეონიძის, კიკაჩეიშვილის, საბჭოს ქუჩები, კიბეშვილის ქუჩის კენტი ნომრები № 71-დან და წყვილი ნომრები № 64-დან ბოლომდე ჩიხებით, თავისუფლების ქუჩის კენტი ნომრები № 63-მდე და წყვილი ნომრები № 50-მდე, კრავეიშვილის, ცურტაველის, ლორიას, კოსმონავტების, თეკაძის, არგონავტების, ზაქარიაძის, შრომის ქუჩები, ბესიკის ქუჩის წყვილი ნომრები № 22-დან 50-ის ჩათვლით, წულუკიძის ქუჩის კენტი ნომრები № 73-დან და წყვილი ნომრები № 98-დან ბოლომდე და მელაურის სასოფლო საბჭო, მუსხელიშვილის ქუჩის წყვილი ნომრები № 2-დან 24-მდე, სანაპიროს ქუჩის წყვილი ნომრები № 2-დან 18-მდე და კენტი ნომრები № 1-დან 3-ის ჩათვლით.

293. ენგელსის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქის № 2 ხუშუალო სკოლის შენობა).
საზღვრები: ლენინის, ტოლსტოის ქუჩები და ნინოშვილის ქუჩა № 120-ისა და № 125-ის ჩათვლით, შესახვევებითა და ჩიხებით, გურამიშვილის, ჩიქოვანის, კვანტალიანის, ფრუნზეს, გოგოლის, ბელინსკის, შევჩენკოს, ჭავჭავაძის, ჩაიკოვსკის, გაგარინის, ცხაკაიას და თბილისის ქუჩები, ორჯონიკიძის ქუჩა, თბილისის ქუჩის გადაკვეთიდან ბოლომდე მესამე ჩიხით, ელიავას ქუჩა, გორკის ქუჩა ძერჟინსკის ქუჩიდან ბოლომდე, ენგელსის, ყაზბეგის, კანდელაკის, ლესელიძის ქუჩები, წერეთლის ქუჩა მეორე ჩიხით № 39-მდე და № 66-მდე სილის კარიერისა და ბამბის სართავი ფაბრიკის საცხოვრებელი სახლები წერეთლის ქუჩაზე. კეცხოველის ქუჩა ძერჟინსკის ქუჩიდან მდინარე ლოღობამდე, წულუკიძის ქუჩის კენტი ნომრები № 73-მდე და ლუწი ნომრები № 98-მდე, „საქენერგოს“ საცხოვრებელი სახლი, პირველი მაისის, პავლოვის, ბაქრის ქუჩები, ბესიკის ქუჩის წყვილი ნომრები № 22-მდე კრილოვის, 26 კომისრის, ბაგრატიონის, ნიკოლაძის ქუჩები, კიროვის ქუჩის კენტი ნომრები № 1-დან № 71-მდე და წყვილი ნომრები № 2-დან № 44-მდე თავისი ჩიხით. ტერელაძის, ვასაძის, ახმეტელის, ხორავას ქუჩები, მუსხელიშვილის ქუჩის წყვილი ნომრები № 24-დან № 42-მდე, წერეთლის ქუჩის კენტი ნომრები № 39-დან და წყვილი ნომრები 66-დან ბოლომდე, ხიბლარის, ილორის, გოგიბაშვილის, გორგასალის ქუჩები, თავისუფლების ქუჩის კენტი ნომრები № 63-დან და წყვილი ნომრები № 50-დან ბოლომდე, გამსახურდიას, ვაჩნაძის ქუჩები, კეცხოველის ქუჩის კენტი ნომრები № 109-დან და წყვილი ნომრები № 136-დან ბოლომდე, 9 მაისის ქუჩა, თეგზამის ქუჩის კენტი ნომრები № 1-დან № 7-მდე და წყვილი ნომრები № 2-დან № 16-მდე, სანაპიროს ქუჩის წყვილი ნომრები № 18-დან და კენტი ნომრები № 5-დან ბოლომდე.

294. ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — რკინიგზელთა კლუბის შენობა).
საზღვრები: ძნელაძის ქუჩა კაშორგამბულობის სახლიდან მდინარე ლოღობამდე, რკინიგზელთა საცხოვრებელი სახლები №№ 42, 43, 56, კომუნალური საცხოვრებელი სახლები №№ 8, 10, 38, კლდიაშვილის, მარჯანიშვილის, ლერმონტოვის, ფალიაშვილის, ნეკრასოვის, კამოს ქუჩები. კალინინის ქუჩა მდინარე ლოღობამდე, კიკვიძის ქუჩა № 100-ის და 113-ის ჩათვლით, ნიკურაძის, ბარათაშვილის, ერისთავის, ჩიხოვის ქუჩები შესახვევებითა და ჩიხებით, კომუნალური საცხოვრებელი სახლები ჩიხოვის ქუჩაზე, ჩხეიძისა და გეგეჭკორის ქუჩები, კიროვის ქუჩის წყვილი ნომრები № 44-დან და კენტი ნომრები 71-დან ბოლომდე, ტელმანის, სერიოგინის, დიმიტროვის, შშვიდობის, ეკდოშვილის, ვახუშტის, პეკინის, შიო არაგვისპირელის, ვაჟა-ფშაველას, მე-17 პარტყრილობის, ტაბიძის, მახარაძის, კრუპსკაიას, სარაჯიშვილის, მიჩურინის, კოტე მესხის, სტურუას, სულხანსაბა ორბელიანის ქუჩები შესახვევებითა და ჩიხებით. კლარაეტკინის, ქუთაისის, პეტრიაშვილის, რუხაძის ქუჩები შესახვევებითა და ჩიხებით, კუიბიშევის ქუჩის კენტი ნომრები № 1-დან № 71-მდე და წყვილი ნომრები № 2-დან № 64-მდე, ბათუმის, ოქტომბრის, ბრიბოედოვის, „პრავდის“, ჯანელიძის, ბაუსკას ქუჩები, შესახვევებითა და ჩიხებით, კომკავშირის და გამარჯვების ქუჩები მდინარე ოფოფიდან ბოლომდე, ბაძგნარის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი სახლები და კალანდარაშვილის ქუჩა.

295. კულაშის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა კულაში).
საზღვრები: კულაშის სადაბო და სასოფლო საბჭოები: ღანირისა და ნაბაკევისა.

296. დიდი ჯიხაიშის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი დიდი ჯიხაიში).
სასოფლო საბჭოები: იანეთის, ეწრის, ბაშის და დიდი ჯიხაიშის.

297. საჯავახოს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი საჯავახო).
სასოფლო საბჭოები: გომის, ოფეთის, საჯავახოს, ტოლების, გორმაღლის და გამოჩინებულისა.

ვანის რაიონი

298. ვანის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ვანის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის შენობა)
ვანის სადაბო და სასოფლო საბჭოები: გადიდის, სალხინოს და ციხესულორისა, სოფელი ზედა ციხესულორისა.

299. დიხაშხოს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დიხაშხოს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა).
სასოფლო საბჭოები: დიხაშხოს, სულორის, ძულუხის, ბზვანისა და ამაღლებისა.

300. ზეინდრის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ზეინდრის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა)
სასოფლო საბჭოები: ზეინდრის, გორას, ფერეთის, კიროვის, საპრასიისა და უხუტისა.

301. შუამთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი შუამთა).
სასოფლო საბჭოები: შუამთის, მუქედის, ტობანიერისა და ყუმურისა და ციხესულორის სასოფლო საბჭოს სოფელი ქვედა ციხესულორი.

მაიაკოვსკის რაიონი

302. დიმის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი დიმი).
სასოფლო საბჭოები: დიმის, პირველი ობჩის, მეორე ობჩის და ვარციხის სასოფლო **საბჭოს სოფლები** როკითი, **დიდველა** და ვარციხის **ჭვინის ჭ**ალრნის დასახლება.

303. წითელხევის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი წითელხევი).
სასოფლო საბჭოები: წითელხევის, ფერსათის, როხისა და ვარციხის სასოფლო საბჭოს სოფელი ვარციხე.

ჩოხატაურის რაიონი

304. ჩოხატაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ჩოხატაური).
ჩოხატაურის სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: განახლების, ზომლეთის, ფარცხმის, შუაგანახლების და ჩაისუბნისა.

305. ხიდისთავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ხიდისთავი)
სასოფლო საბჭოები: ერკეთის, ზოტის, ნაბეღლავის, ქვენობანის, ხევისა და ხიდისთავისა.

306. ბუკისციხის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ბუკისციხე).
სასოფლო საბჭოები: ბუკისციხის, დაბლაციხის, დიდივანის, ზემოსურების, კოხნარის, საკმიასერის, შუასურების და ზემოხეთისა.

ლანჩხუთის რაიონი

307. ლანჩხუთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ლანჩხუთი)
ლანჩხუთის საქალაქო საბჭო და სასოფლო საბჭოები: მაჩხვარეთისა და შუხუთისა.

308. აცანის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი აცანა)
სასოფლო საბჭოები: აცანის, აკეთის, მამათისა და ნიგოითისა.

309. ლესის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ლესა)
სასოფლო საბჭოები: ლესის, გვიმბალაურის, ნიგზიანის, ჩიბათის და ჯურუყეფითისა.

310. სუფსის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი სუფსა)
სასოფლო საბჭოები: სუფსის, ნინოშვილის, ჩოჩხათისა და ღრმაღელისა.

მახარაძის რაიონი

311. პირველი საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ჩაის ფაბრიკა № 1)
საზღვრები: ლესელიძის, ჟდანოვის, გურიის, აბაშიძის ქუჩების დასავლეთი მხარე, სოფლები ექადია და ანასეული.

312. მეორე საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ჩაის ფაბრიკა № 2)
საზღვრები: ლესელიძის, ჟდანოვის, გურიის და აბაშიძის ქუჩების აღმოსავლეთი მხარე.

313. მერიის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი მერია)
ლაითურის სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: მერიის, კინჭკათის, გურიანთისა და მახარაძისა.

314. ნასაკირალის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ქვედა ნასაკირალი)
ქვედა ნასაკირალის სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: მელექედურის, სილაურის, ჯუმათის, ბაილეთის, ძიმითისა და ნაგომრისა.

315. ბახვის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ბახვი)
სასოფლო საბჭოები: ბახვის, ასკანის, მთისპირის, ვაკიჯვრის, ცხემლისხიდის და დვაბზუსა.

316. შემოქმედის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი შემოქმედი)
სასოფლო საბჭოები: შემოქმედის, ბოხვაურის, მაკვანეთის, ლიხაურისა და ჭანეთისა.

317. ნატანების საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ნატანები)
ურეკის სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: ნატანების, შრომისა და თხინვალისა.

აბაშის რაიონი

318. ქ. აბაშის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი აბაშა)
აბაშის საქალაქო საბჭო და სასოფლო საბჭოები: სუჯუნისა და ნორიოსა. (გარდა სოფელ განათლებისკარისა).

319. მარნის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი მარანი).
სასოფლო საბჭოები: მარნის, კეთილარის, პირველი მაისის, ქოლობნის და ნაესაკოვოსა.

320. ძველი აბაშის საარჩევნო ოლქი (ცენტრი სოფელი ძველი აბაშა)
სასოფლო საბჭოები: ძველი აბაშის, სეფიეთის, ონტოფოს, სამიქაოს, გეზათის, ზანათის, წყმისა და ნორიის, სოფელი ვანათლებისკარი.

ცხაკაიას რაიონი

321. ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ა. პ. წურწუმიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რაიონული სახლის შენობა)
საზღვრები: რუსთაველის ქუჩის ჩრდილოეთი მხარე სოფელი ძველი სენაკის საზღვრიდან სოფელ მენჯის საზღვრამდე.

322. ცხაკაიას საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის შენობა)
საზღვრები: რუსთაველის ქუჩის სახრეთი მხარე მშვიდობის ქუჩამდე, სოფელ ძველი სენაკის საზღვრიდან სოფლების მენჯისა და თეკლათის საზღვრამდე.

323. მშვიდობის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შენობა)
საზღვრები: ქალაქის **აღმოსავლეთით:** სოფელ ნოსირის საზღვრამდე, **სამხრეთით:** სოფელ ახალსოფლის საზღვრამდე, **დასავლეთით:** სოფელ თეკლათის საზღვრამდე, **ჩრდილოეთით:** რკინიზგის ვაკისამდე და სასოფლო **საბჭოები:** მენჯის, ზემოჯალადიდის, **თეკლათის და ხორშ**ის.

324. ნოსირის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელ ნოსირის საშუალო სკოლის შენობა)
სასოფლო საბჭოები: ახალსოფლის, გეჯეთის, ნოსირის და ძველი სენაკისა.

325. ფოცხოს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ფოცხო, კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კანტორის შენობა)
სასოფლო საბჭოები: ზანის, ლეძაძამის, ნაქალაქევის, ეკის, უშაფათისა და ფოცხოსი.

ხობის რაიონი

326. ხობის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ხობი)
ხობის სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: პირველი მაისის, ხეთის, ხამისქურის და თორსადღვაბისა.

327. საჯიჯაოს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი საჯიჯაო)
სასოფლო საბჭოები: ალიონის, ნოჯიხევის, ბიის, საჯიჯაოს, ახალი ხიბულისა და ძველი ხიბულისა.

328. ქვემო ჭალადიდის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ქვემო ჭალადიდი)
სასოფლო საბჭოები: პატარა ფოთის, ქვემო ჭალადიდის, ქარიატის, ყულევის, პირველი ხორგის, შუა ხორგის, ახალსოფლის და ქვემო ქვალონისა.

ქალაქი ზუგდიდი

329. ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის შენობა, ლენინის ქუჩა)
საზღვრები: აღმოსავლეთით — პარიზის კომუნის ქუჩა, **დასავლეთით** რუსთაველის ქუჩა, **სამხრეთით** მდინარე ჩხოუშა, **ა**ოქტომბრის ქუჩა, **ჩრდილოეთით** მდინარე სინწა.

330. რუსთაველის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — საკონსერვო ქარხნის დირექციის შენობა, კიროვის ქუჩა)
საზღვრები: აღმოსავლეთით — მდინარე ჩხოუში, **დასავლეთით** შ. მესხიას ქუჩა, **სამხრეთით** ტოლსტოის ქუჩა, **ჩრდილოეთით** ორჯონიკიძის ქუჩა.

331. კიროვის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ენგურის ელექტროსადგურის ქალაქდიდის კომბინატის დირექციის შენობა, ჯანაშიას ქუჩა)
საზღვრები: აღმოსავლეთით — „პრავდის“ ქუჩა, **დასავლეთით**— მდინარე კოჩხობონი, **სამხრეთით** — რკინიგზელთა ქუჩა, **ჩრდილოეთით** — სოხუმის ქუჩა.

332. ოქტომბრის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — პოლიტექნიკური ტექნიკუმის შენობა, სოხუმის ქუჩა)
საზღვრები: აღმოსავლეთით — რუსთაველის ქუჩა, **დასავლეთით** — ფაიფურის ქარხანა, **სამხრეთით** — ბოტანიკური ბაღი, **ჩრდილოეთით** — მდინარე სინწა.

ზუგდიდის რაიონი

333. ინგირის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ინგირი)
სასოფლო საბჭოები: ინგირის, შამგონის, ოქტომბრისა და ახალ აბასუმბნისა.

334. კახათის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი კახათი)
სასოფლო საბჭოები: კახათის, ახალკახათის, კოკის და ორსანტიისა.

335. დარჩელის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი დარჩელი)
სასოფლო საბჭოები: დარჩელის, განარჯიის, მუხურის, ანაკლიისა და ორულესა.

336. რუხის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი რუხი)
სასოფლო საბჭოები: რუხის, ჩხორიის და რიყისა.

337. კორცხელის საარჩევნო ოლქი (ცენტრი სოფელი კორცხელი)
სასოფლო საბჭოები: კორცხელის, ჭკადუაშის, ოდიშის, გრიგოლეშის და ორჯონიკიძისა.

338. ნარაზენის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ნარაზენი)
სასოფლო საბჭოები: ჯიხაშვარის, ნარაზენის, ჭაქვინჯისა და ახალსოფლისა.

339. ცაიშის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ცაიშა)
სასოფლო საბჭოები: ცაიშის, აბასთუმნის, ჭითაწყაროს და დადინეძისა.

წალენჯიხის რაიონი

340. წალენჯიხის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი წალენჯიხა)
წალენჯიხის საქალაქო საბჭო და სასოფლო საბჭოები: წალენჯიხის (ბარქსის, ლენინის, 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობები, ჩაის საბჭოთა მეურნეობა), ობჯისა და ორჯონიკიძისა.

341. სოფელ ჯგალის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ჯგალი)
სასოფლო საბჭოები: ნაკიფუს, მიქავას, ჯგალის, მედანის, საჩინოს და ჩქვალერისა.

342. დაბა ჯვარის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ჯვარი)
ჯვრის სადაბო საბჭო, (ენგურჰესის მშენებლობის დასახლება) და ლიის სასოფლო საბჭო.

343. სოფელ ჭალეს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ჭალე)
სასოფლო საბჭოები: ფახულანის, ჭალის და მუქავას.

ჩხოროწყუს რაიონი

344. ჩხოროწყუს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ჩხოროწყუ)
ჩხოროწყუს სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: კირკიხის, ლეწურწუმის და ქვედაჩხოროწყუსა.

345. ლესიჭინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ლესიჭინე)
სასოფლო საბჭოები: ახუთის, ლესიჭინის, ნაკაანისა და ჭოღისა.

346. ხაბუმის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ხაბუმე)
სასოფლო საბჭოები: თაიის, ზუმის, ნათიჩხოვის, მუხურის და ხაბუმისა.

გეგეჭკორის რაიონი

347. გეგეჭკორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა გეგეჭკორი)
გეგეჭკორის სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: ლეხაინდრაოს, ნაგვაზაოს, სერგიეთისა და ხუნწისა.

348. დიდი ჭყონის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი დიდი ჭყონი)
სასოფლო საბჭოები: დიდი ჭყონის, დოშაჯის, კორზუს, საოინოს და ტალერისა.

349. თამაკონის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი თამაკონი)
სასოფლო საბჭოები: თამაკონის, გაგნდილის, გურძემის, ინჩხურის, კიწნის და ნახუნაოსა.

350. ბანძის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ბანძა)
სასოფლო საბჭოები: აბედათის, ბანძის, ვედიდკარის, ნაჯახაოს, ონოფრის.

მესტიის რაიონი

351. მესტიის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა მესტია)
მესტიის სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: უშგულის, კალის, იფარის, მულახის, ლენჯერის და ლატალისა.

352. ხაიშის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ხაიში)
სასოფლო საბჭოები: ბეჩოს, ცხუმარის, ეცერის, ფარის, ლახამულის, ნაკრის, ხაიშის და ჭუბერისა.

ქალაქი ფოთი

353. რუსთაველის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — პოლიტიკური განათლების კაბინეტის შენობა)
საზღვრები: მდინარე რიონის მარცხენა სანაპირო აეროპორტიდან სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმომდე, ნინოშვილის ქუჩის კენტი ნომრები — სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოდან პირტახიას ქუჩის გადაკვეთამდე, პირტახიას ქუჩის კენტი ნომრები — ნინოშვილის ქუჩიდან მდინარე კაპარჭამდი, მდინარე კაპარჭიდან სწორი ხაზი აეროპორტამდე.

354. ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხანა).
საზღვრები: მდინარე რიონის ახალი კალაპოტის მარცხენა მხარე — სამაგე ნაგებობიდან შავ ზღვამდე, შავი ზღვის შესართავიდან ზღვის ნაპირით ჭავჭავაძის ქუჩამდე, ჭავჭავაძის ქუჩის კენტი ნომრები — ნახიმოვის ქუჩის გადაკვეთამდე, ნახიმოვის ქუჩიდან — ახალი ნავსადგურის კედლის გაყოლებით ჯავახიშვილის ქუჩამდე, ჯავახიშვილის ქუჩის კენტი ნომრები მალანიას ქუჩამდე. მალანიას ქუჩის წყვილი ნომრები ტაბიძის ქუჩის გადაკვეთამდე, ტაბიძის ქუჩა პიონერის ქუჩის გადაკვეთამდე, პიონერის ქუჩის წყვილი ნომრები პიონერის ქუჩის ჩიხამდე, პიონერის ჩიხის ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის კედლის გაყოლებით რკინიგზის ვაკისამდე, რკინიგზის ვაკისიდან სწორი ხაზი რიონის სათავე ნაგებობამდე (მე-7 კილომეტრამდე).

355. ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის კლუბის შენობა)
საზღვრები: მდინარე რიონის მარჯვენა სანაპირო — არხიდან (კინოთეატრ „კომკავშირელიდან“) შავი ზღვისპირამდე, შავი ზღვის სანაპირო მდინარე რიონის შესართავიდან არხის გადაკვეთამდე, არხის მარცხენა სანაპირო — შავი ზღვის სანაპიროდან მდინარე რიონამდე (კინოთეატრ „კომკავშირელამდე“).

356. ნავსადგურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ნავსადგურის კლუბის შენობა)
საზღვრები: სტალინის სანაპიროზე გამავალი არხის მარჯვენა სანაპირო მდინარე რიონიდან შავი ზღვის შესართავამდე, შავი ზღვის შესართავიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე, ჭავჭავაძის ქუჩიდან ნახიმოვის ქუჩამდე, ახალი ნავსადგურის კედლის გაყოლებით ჯავახიშვილის ქუჩამდე, ჯავახიშვილის ქუჩის წყვილი ნომრები მალანიას ქუჩამდე, მალანიას ქუჩის წყვილი ნომრები ტაბიძის ქუჩამდე, ტაბიძის ქუჩის კენტი ნომრები პიონერის ქუჩის გადაკვეთამდე, პიონერის ქუჩის კენტი ნომრები პიონერის ჩიხამდე, პიონერის ჩიხიდან ძველი ნარიონალამდე, ძველი ნარიონალიდან სწორი ხაზი მდინარე რიონამდე, მდინარე რიონის მარჯვენა სანაპირო სტალინის სანაპიროზე გამავალ არხამდე (კინოთეატრ „კომკავშირელამდე“).

357. ნინოშვილის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — კულტურის სახლის შენობა)
საზღვრები: მდინარე რიონის მარცხენა სანაპირო — სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოდან შავი ზღვის შესართავამდე, შავი ზღვის სანაპიროდან სწორი ხაზი სუფსის საზღვრამდე, სუფსის საზღვრიდან სწორი ხაზი პალიასტომის ტბის გაყოლებით მდინარე კაპარჭინამდე, მდინარე კაპარჭინიდან პირტახიას ქუჩამდე, პირტახიას ქუჩის წყვილი ნომრები ნინოშვილის ქუჩის გადაკვეთამდე, ნინოშვილის ქუჩის კენტი ნომრები პირტახიას ქუჩიდან სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმომდე.

აფხაზეთის ასსრ

ქალაქი სოხუმი

358. გორკის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — გორკის სახელობის კულტურის სახლის შენობა, თბილისის გზატკეცილი № 71)
საზღვრები: აღმოსავლეთით — მდინარე კელასური შავი ზღვის სანაპიროდან ქალაქის საზღვრამდე ახალსოფლის სასოფლო საბჭოსთან; **ჩრდილოეთით** — ქალაქის საზღვრამდე ახალსოფლის და ბესლეთის სასოფლო საბჭოებთან — მდინარე კელასურიდან მდინარე ბესლეთამდე; **დასავლეთით** — მდინარე ბესლეთი — ქალაქის საზღვრიდან ბესლეთის სასოფლო საბჭოსთან რკინიგზის ვაკისამდე; **სამხრეთით** — რკინიგზის ვაკისი; მდინარე ბესლეთიდან შავი ზღვის სანაპირამდე.

359. კალინინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — აფხაზეთის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის შენობა, კალინინის ქ. № 67
საზღვრები: აღმოსავლეთით — მდინარე ბესლეთი შეგჩენკოს ქუჩიდან ბესლეთის სასოფლო საბჭოს საზღვრამდე; **ჩრდილოეთით** ქალაქის საზღვარი ბესლეთის და თავისუფლების სასოფლო საბჭოსთან მდინარე ბესლეთიდან ბარათაშვილის ქუჩამდე; **დასავლეთით** — ბარათაშვილის ქუჩა ქალაქის საზღვრიდან ბესლეთის სასოფლო საბჭოსთან ლენინის ქუჩამდე, ლენინის ქუჩა ბარათაშვილის ქუჩიდან 4 მარტის ქუჩამდე, 4 მარტის ქუჩა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ

(დასასრული)

საზღვრები: აღმოსავლეთით — მდინარე ღალიძგა შავი ზღვის ნაპირიდან ქალაქის საზღვრამდე ბესლახუბის სასოფლო საბჭოსთან; **ჩრდილოეთით** — ქალაქის საზღვარი ბესლახუბის სასოფლო საბჭოსთან; **დასავლეთით** — ოქტომბრის რევოლუციის ქუჩა ბესლახუბის სასოფლო საბჭოდან შავი ზღვის ნაპირამდე; **სამხრეთით** — შავი ზღვის ნაპირი ოქტომბრის ქუჩიდან მდინარე ღალიძგამდე.

394. ფოქვეშის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ფოქვეში)

სასოფლო საბჭოები: ფოქვეშის, აგუ-ბელიის, ტყვარჩელის, გუფის, ბესლახუბისა და ილორისა.

გალის რაიონი

395. აჩიგვარის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი აჩიგვარა)

სასოფლო საბჭოები: გუდავის, აჩიგვარის, ბედიის და პირველი გალისა.

396. გალის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — კულტურის სახლის შენობა, ქალაქი გალი)

ქალაქი გალი.

397. ოქუმის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ოქუმი)

სასოფლო საბჭოები: ოქუმის, წარჩის, ჩხორთოლის, მუხურის, რეჩხი-ცხირის და ღუმურიშისა.

398. ბარღების საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ზემო ბარღები)

სასოფლო საბჭოები: ზემო ბარღების, ქვემო ბარღების, მზიურის და რეფოშეთის.

399. ჭუბურხინჯის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ჭუბურხინჯი)

სასოფლო საბჭოები: ჭუბურხინჯის, დიხაზურგის, საბერიოს და ლეკუზონისა.

400. ნაბაკევის საარჩევნო ოლქი (ტენტრი — სოფელი ნაბაკევი)

სასოფლო საბჭოები: ნაბაკევის, ფიჩორის, განახლების, სიდის, თაგილინის და ოტობაიასი.

აჭარის ასსრ

ქალაქი ბათუმი

401. გოგებაშვილის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე, ლენინის ქ. № 37)

საზღვრები: ქალაქ ბათუმის ჩრდილოეთი ნაწილი ბარათაშვილის, ტელმანის, ლენინისა და ჭავჭავაძის ქუჩებამდე.

402. ლენინის საარჩევნო ოლქი ცენტრი — ქალაქი ბათუმი, პროფკავშირების აჭარის საოლქო საბჭო, ლენინის ქ. № 13)

საზღვრები: ქალაქ ბათუმის ცენტრი ენგელსის, ჭავჭავაძის, ლენინის, ტელმანისა და ბარათაშვილის ქუჩებს შორის.

403. სტალინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი, განათლების მუშაკთა საოლქო სახლი, სტალინის პროსპექტი № 51)

საზღვრები: ქ. ბათუმის დასავლეთი ნაწილი გრიბოედოვის, გორკის, ჯავახიშვილის, ჭავჭავაძისა და ენგელსის ქუჩებამდე.

404. ენგელსის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი, პროფკავშირთა კულტურის სახლი, ჭავჭავაძის ქ. № 85)

საზღვრები: ბათუმის ტერიტორია ჭავჭავაძის, ჯავახიშვილის, ბაგრატიონისა და მარქსის ქუჩებს შორის.

405. აბაშიძის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი, მანქანათსაშენი ქარხნის კლუბის შენობა, აჭარის გზატკეცილი № 14)

საზღვრები: ქალაქ ბათუმის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი გრიბოედოვის, გორკის, ჯავახიშვილისა და ბაგრატიონის ქუჩამდე.

406. ხიმშიაშვილის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი, № 44 პროფტექნიკური სასწავლებელი, ლენინის ქ. № 2)

საზღვრები: ქალაქ ბათუმის სამხრეთი ნაწილი ბაგრატიონის, ენგელსის და სუვოროვის ქუჩამდე.

407. ჯაფარიძის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი, №-4 საშუალო სკოლის შენობა, პუშკინის ქ. № 63)

საზღვრები: ქალაქ ბათუმის ტერიტორია სულაბერიძის, წერეთლის, ჭავჭავაძის, მარქსის, ბაგრატიონის, ენგელსისა და სუვოროვის ქუჩებს შორის.

408. ფრუნზეს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს სამმართველო, გოგებაშვილის ქ. № 60).

საზღვრები: ქალაქ ბათუმის ტერიტორია სუვოროვის, სულაბერიძის, ჯორჯიაშვილის, წერეთლის, ჭავჭავაძის, გოგებაშვილის, ფრუნზეს, მაიაკოვსკის და დადიანის ქუჩებს შორის.

409. დმიტროვის საარჩევნო ოლქი (ცენტრი ქალაქი ბათუმი, ცენტრალური ნავთობგადასატვირთავი ბაზის კლუბი, მაიაკოვსკის ქ. № 4).

საზღვრები: მდინარე ბარცხანის მარცხენა ნაპირი ფრუნზეს, მაიაკოვსკისა და დადიანის ქუჩებამდე.

410. ქარხნის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი, ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის კულტურის სასახლე)

საზღვრები: ქალაქ ბათუმის აღმოსავლეთი ნაწილი მდინარე ბარცხანის მარჯვენა ნაპირამდე.

411. ქობულეთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ქობულეთი, ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შენობა)

საზღვრები: ქალაქი ქობულეთი ბობოყვათის საკურორტო ზოლიდან ინტერნაციონალის ქუჩამდე, გელაურისა და ახალსოფლის დასახლება.

412. კურორტის საარჩევნო ოლქი (ცენტრი—ქალაქი ქობულეთი, კურორტთა მართვის ქობულეთის ტერიტორიული საბჭო)

საზღვრები: ოჩხამურის სადაბო საბჭო, მუხაესტატეს სასოფლო საბჭო, სოფელი წყაროკა, ქალაქი ქობულეთი ინტერნაციონალის ქუჩიდან მდინარე ჩოლოქამდე მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დასახლების ჩათვლით.

413. მუხაესტატეს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი მუხაესტატე, სოფელ მუხაესტატეს კოლმეურნეობის კანტორის შენობა)

სასოფლო საბჭოები: ქაქუთის, ლეღვას და მუხაესტატეს სასოფლო საბჭოს სოფლები — ალამბარი, მუხაესტატე და ზედა კონდიდი.

414. ხუცუბნის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ხუცუბანი, ხუცუბნის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა)

სასოფლო საბჭოები: ხუცუბნის, ქობულეთისა და ჭახათისა.

415. ბობოყვათის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ბობოყვათი, სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის კანტორის შენობა)

სასოფლო საბჭოები: ბობოყვათისა და კვირიკესი.

416. ჩაქვის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ჩაქვი, ჩაქვის ვ. ი. ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კანტორის შენობა)

ჩაქვის სადაბო საბჭოს ცენტრის დასახლება, სოფელი ბუკნარი და ციხისძირის სასოფლო საბჭო

417. ხალას საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ხალა, სოფელ ხალას კოლმეურნეობის კანტორის შენობა)

სასოფლო საბჭოები: ხალას და ულიანოვკის და ჩაქვის სადაბო საბჭოს სოფლები ქვედა ულიანოვკა და სახალვაშო.

ხელვაჩაურის რაიონი

418. მახინჯაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა მახინჯაური, მახინჯაურის სახალხო დეპუტატთა ადაბო საბჭოს აღმასკომის შენობა).

მახინჯაურის სადაბო საბჭო და ჩაისუბნის სასოფლო საბჭოს სოფლები ჩაისუბანი, ყოროლისწყალი, აგარა, სალიბაური და კაპრეშუმი.

419. ახალშენის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ახალწყალი, აგარა სალიბაური და კაშენი, სოფელ ახალშენის კოლმეურნეობის კანტორის შენობა)

ახალშენის სასოფლო საბჭო და ჩაისუბნის სასოფლო საბჭოს სოფლები: წინსვლა, მასაურა.

420. ურეხის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ურეხი, სოფელ ურეხის კოლმეურნეობის კანტორის შენობა).

ურეხის სასოფლო საბჭო და კახაბრის სასოფლო საბჭოს სოფლები: ანგისა, მინდა.

421. ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ხელვაჩაური, ხელვაჩაურის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს აღმასკომის შენობა).

ხელვაჩაურის სადაბო საბჭოს ცენტრის დასახლება და სოფლები შარაბიძეები, მახვილაური, კახაბრის სასოფლო საბჭოს სოფლები ადლია, კახაბერი, მეჯინისწყალი და თოდოგაური.

422. თხილნარის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი თხილნარი, თხილნარის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა)

სასოფლო საბჭოები: თხილნარის, გონიოს და სარფისა.

423. აჭარისწყლის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი აჭარისწყალი, სოფელ აჭარისწყლის კოლმეურნეობის კანტორის შენობა)

აჭარისწყლის, კირნათისა და აჭარისაღმართის, ხელვაჩაურის სადაბო საბჭოს სოფლები ერგე, ზედა ჯოჭო და ქვედა ჯოჭო.

ქედის რაიონი

424. ქედის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ქედა, ქედის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის შენობა).

ქედის სადაბო საბჭო და მახუნცეთის, პირველი მაისის, ოქტომბრისა და მერისის სასოფლო საბჭოები.

425. ცხმორისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ახო, ცხმორისის საშუალო სკოლის შენობა)

სასოფლო საბჭოები: ზვარის, ცხმორისისა და დანდალოსი.

შუახევის რაიონი

426. შუახევის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა შუახევი, შუახევის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის შენობა)

შუახევის სადაბო საბჭო, ჭვანის, ბარათაულისა და წყლისაყრის სასოფლო საბჭოები და ზამლეთის სასოფლო საბჭოს სოფლები ზამლეთი და ნიგაზეული.

427. დღვანის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი დღვანი, დღვანის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა)

სასოფლო საბჭოები: დღვანის, უჩამბის, ოლადაურისა და შუბნისა და ზამლეთის სასოფლო საბჭოს სოფლები ბუთურაული, მჭედლური, ნენია, ფოთელაური, ფურტიო და მომწვარი.

428. ხიხაძირის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ხიხაძირი, ხიხაძირის კულტურის სახლის შენობა)

სასოფლო საბჭოები: ხიხაძირისა და სხალთისა.

429. ხულოს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ხულო, პარტიის ხულოს რაიონული კომიტეტის შენობა)

ხულოს სადაბო საბჭო, ოქტომბრისა და დიდჯარის სასოფლო საბჭოები.

430. დიოკნისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი დიოკნისი, დიოკნისის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა)

სასოფლო საბჭოები: დიოკნისის, რიყეთის, აგარისა და ღორჯომისა.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

ქალაქი ცხინვალი

431. კარლ მარქსის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — საშუალო სკოლა № 7)

საზღვრები: ქ. ცხინვალის აღმოსავლეთი მხარე 8 ივნისის და სტალინის ქუჩებიდან.

432. ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობა).

საზღვრები: ქალაქ ცხინვალის დასავლეთი მხარე 8 ივნისის და სტალინის ქუჩებიდან.

ცხინვალის რაიონი

433. ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — საქართველოს კპ ცხინვალის რაიკომის შენობა)

სასოფლო საბჭოები: ქემერტის, ქარცეთის, ხერთაგუროვის და ძარისა.

434. ქსუიხის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ... სასოფლო-ტექნიკური სკოლის (ინტერნატი) რაიონული განათლების შენობა)

სასოფლო საბჭოები: ბერულის, ქუჩისის, არცევის, ბელოთის, გერის, ღრომის, ბიყარის და ვანთათისა.

ჯავის რაიონი

435. ჯავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — საქართველოს კპ ჯავის რაიკომის შენობა)

ჯავის სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: ედისის, როკის, ვანელის, სვიწის და მსხლებისა.

436. კვაისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — კვაისის მაღაროთა სამმართველო)

კვაისის სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: ჯიროვის, ჩასავლის, წონის, ყემულთის, ქეშეთისა და სინაგურისა.

ზნაურის რაიონი

437. ზნაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ზნაურის ქართული საშუალო სკოლის შენობა)

საზღვრები: ზნაურის სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: თერეგვანის და ბალთისა.

438. ავნევის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ავნევის ქართული საშუალო სკოლის შენობა)

საზღვრები: ავნევის, ძვილეთის, ყორნის სასოფლო საბჭოები.

ლენინგორის რაიონი

439. ლენინგორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — საქართველოს კპ ლენინგორის რაიკომის შენობა) ლენინგორის სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: ჯირნისის, გდუს, ლარგვისის, დორეულეთის და ქარჩხისა.

440. წინაგარის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი წინაგარი)

სასოფლო საბჭოები: წინაგარის, ზახორის, სალბურის და ბოლისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 8 დეკემბერი.

საერთაშორისო ცხოვრება

დ. თ. უსტინოვი ეწვია ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფს

ლეგნიცა, (პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა), 8 დეკემბერი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი, რომელიც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრთა კომიტეტის ვარშავის მორიგ სხდომაზე წარგზავნილ საბჭოთა სამხედრო დელეგაციას მეთაურობდა, ეწვია ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფს. იგი გაეცნო მეომართა ყოფა-ცხოვრებას, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების მიმდინარეობას, დაესწრო ტაქტიკურ წვრთნას.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი შეხვდა ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფის ხელმძღვანელ შემადგენლობას.

გუშინ დ. თ. უსტინოვი სამშობლოში გამოემგზავრა. მოსკოვში დ. თ. უსტინოვს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ვ. ოგარკოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. გ. კულიკოვი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი არმიის გენერალი ა. ა. ეპიშევი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ლ. სოკოლოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

ირან-ამერიკის ურთიერთობის გამო

თეირანი, 7 დეკემბერი. (საკდესი). აიათოლა ხომეინის ყუმის ბიუროს დღეს გავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები, სავაქი და შაჰის რეჟიმის დამქაშები ახალ შეთქმულებს მიმართავენ ირანის რევოლუციური მოძრაობის გათშვის მიზნით. მაგრამ ირანელი ხალხი ჩაშლის ამ შეთქმულებებს და გამარჯვებით დაგვირგვინებს ბრძოლას, რომელსაც ეწევა, რათა გათავისუფლოს ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმზე სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დამოკიდებულებისაგან.

თავრიზსა და ირანის აზერბაიჯანის სხვა ქალაქებში მოხდა შეტაკებანი აიათოლა შარიათ-მადარის მომხრეებსა და აიათოლა ხომეინის მომხრეებს შორის. აიათოლა შარიათ-მადარის რეზიდენციას ცეცხლი დაუშინეს უცნობმა პირებმა. ამასთან დაკავშირებით აიათოლა ხომეინი შეხვდა შარიათ-მადარის, რის შემდეგაც ხომეინმ წერილით მიმართა ირანელ ხალხს.

წერილში ხაზგასმულია, რომ ახლა, როცა ირანს საფრთხეს უქადის ამერიკის იმპერიალიზმი, ხალხმა უნდა განამტკიცოს ერთობა და არ აჰყვეს იმათ პროვოკაციებს, ვინც შუღლის ჩამოგდებას ცდილობს. ხომეინმ მოუწოდა მთელი ძალ-ღონე მოახმარონ ირანის რევოლუციის უბოროტესი მტრის — ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ ბრძოლას. თავის მხრივ, შარიათ-მადარიმ განაცხადა, რომ ძალები, რომლებიც პროვოკაციულად იწვევენ უწესრიგობას, ამით იმპერიალიზმს ეხმარებიან.

აიათოლა ხომეინის მომხრე სტუდენტებმა, რომლებსაც დაკავებული აქვთ ამერიკის შეერთებული შტატების თეირანის საელჩო, ჟურნალისტებს წარუდგინეს დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც მოწმობენ კიდევ ერთი ამერიკელი „დიპლომატის“ ჯაშუშურ და ძირგამომთხრელ საქმიანობას ირანის წინააღმდეგ.

ვაშინგტონი, 7 დეკემბერი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ უახლოეს დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ს. ვენსი ეწვევა ლონდონს, პარიზს, ბონსა და რომს, სადაც მოლაპარაკებას გამართავს ირანში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, შემდეგ კი ამავე საკითხს განიხილავს ბრიუსელში ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ნატოელ პარტნიორებთან ერთად.

თეირანის სახლის ოფიციალური წარმომადგენელი არ გამორიცხავს, რომ დასავლეთ ევროპის მაღალი თანამდებობის მოღვაწეებთან ს. ვენსის შეხვედრების დროს იმსჯელებენ ირანის წინაღმდეგ მოქმედების „საგანგებო ვედგმების“ შესახებ.

ვაშინგტონის ზეგავლენით გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, იტალიამ და ინგლისმა, როგორც პრესა იუწყება, უკვე დაიწყეს ნაწილობრივი ემბარგო ირანის არმიისათვის სამხედრო ტექნიკის სათადარიგო ნაწილების მიწოდებაზე.

დასავლეთ ევროპაში იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობითი დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას ფინანსთა მინისტრის მოადგილე რ. კარსუელი. იგი ეწვია ლონდონსა და ბონს, ხოლო შემდეგ პარიზს გაემგზავრა. როგორც მომმხილველნი აღნიშნავენ, ვაშინგტონის დესპანები ცდილობენ შეიპიროონ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობები, რომ ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადონ ირანს.

მთვარე კაცობრიობის ინტერესებისათვის

ნიუ-იორკი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ერთსულოვნად მოიწონა შეთანხმება მთვარესა და სხვა ციურ სხეულებზე სახელმწიფოთა საქმიანობის შესახებ, რომლის შემუშავება 1971 წელს დაიწყო საბჭოთა კავშირის ინიციატივით. მთვარის კვლევა და გამოყენება მთელი კაცობრობის კუთვნილებაა და ხორციელდება ყველა ქვეყნის კეთილდღეობის ინტერესებისათვის, მიუხედავად მათი ეკონომიკური ან მეცნიერული განვითარების დონისა, ნათქვამია შეთანხმებაში. იხადდება მთვარეზე მეცნიერულ გამოკვლევათა თავისუფლება, რომლებსაც განახორციელებს შეთანხმების მონაწილე ყველა სახელმწიფო ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორობის საფუძველზე და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

გულგარეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

სოფია, 7 დეკემბერი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ 3-4 დეკემბერს მთელ რიგ ინსტიტუტებში, სადაც უცხოელი სტუდენტები სწავლობენ, პოლიტიკური კამათის შემდეგ მოხდა ჩხუბი, რომლის დროს ორი კაცი მოკლეს და რამდენიმე მძიმედ დაჭრეს. დაზარალებულნი, ისევე როგორც ინციდენტის ყველა მონაწილე, ერაყის მოქალაქენი არიან. მოკლულთაგან ერთ-ერთი ერაყის კომუნისტური პარტიის წევრი იყო. დაჭრილებს გაუწიეს სამედიცინო დახმარება.

საგამოძიებო ორგანოები გულდასმით ეძებენ დამნაშავეებს, განხორციელდა ყველა ღონისძიება, რათა უზრუნველყონ უცხოელ სტუდენტთა უშიშროება და ნორმალური ვითარება ინსტიტუტებში, სადაც ისინი სწავლობენ.

ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო კატეგორიულად უარყოფს საზღვარგარეთის ზოგიერთი საინფორმაციო სააგენტოს მტკიცებებს, თითქოს ინციდენტები ბულგარეთის ხელისუფალთა მონაწილეობით მომხდარიყოს.

ხანძარი გოსფორის სრუტეში

სტამბოლი, 8 დეკემბერი. (საკდესი). გუშინწინ ბოსფორის ცაში ვეებერთელა ცეცხლის ალი ავარდა. ღამით აფეთქდა ნავთობით სავსე კიდევ ერთი ტანკი, რუმინეთის ტანკერ „ინდეპენდენცაზე“, რომელზეც უკვე ოცი დღეა ხანძარი გიზგიზებს. საბერძნეთის მშრალტვირთიან გემთან ბოსფორში შეჯახების შემდეგ ამ გემზე დაწყებული ხანძარი ჯერ ვერ ჩააქრეს, მიუხედავად მაშველი რაზმების დიდი მეცადინეობისა.

ახალი აფეთქების შედეგად ალმოდებულმა ნავთობმა გაარღვია ადრე ინგლისელი მაშველების მიერ დადგმული ღობურები და ქალაქის აზიური ნაწილისაკენ წავიდა. იმ რაიონების მცხოვრებნი, რომლებსაც ცეცხლი ემუქრებოდა, ბახიზნეს, მეხანძრეთა რაზმების მეცადინეობით თავიდან აიცილეს ხანძრები ქალაქში და ჩააქრეს ნაპირებს მიღწეული ნავთობი.

ხანძარი რუმინეთის ტანკერზე, რომელზეც, სპეციალისტთა შეფასებით, კიდევ დაახლოებით 40 ათასი ტონა ნავთობია, გრძელდება. ბოსფორის სრუტეში ნოსნობა შეწყვეტილია.

ᲨᲐᲕ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ



წელს ბათუმში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საზღვაო სამგზავრო ნავმისადგომი. ახლა აქ შეუძლიათ ერთდროულად სამი საზღვაო ლაინერი მიიღონ.

მთელი წლის განმავლობაში ოდესიდან ბათუმში მოდიოდნენ რეგულარული საკრუიზო რეისებით ნაზღვაო გემები.

„ზოთა რუსთაველი“ და „უზბეკისტანი“ ბათუმის ნავსადგურის ხშირი სტუმრები არიან, დუნაის სანაოსნოს თბომავალი „აივაზოვსკი“ კი წელს აქ პირველად შემოვიდა. ამ გემით შავ ზღვაზე მოგზაურობენ ქალაქ იზმაილის მშრომელები.

სურათზე: თბომავალი „აივაზოვსკი“ ბათუმის საზღვაო ვაგზლის ტურისტულ ნავმისადგომთან.

ნ. ანასტასიევის ფოტო.

(საინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲐᲡᲔ ᲘᲥᲪᲔᲕᲘᲐᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

— **არიქა,** უშველეთ, მდინარეში ქალი გადავარდა,—შეიცხადა ვიღაცამ და, მოხედვაც ვერ მოასწრეს, ისე შეიყარა უამრავი ხალხი ჯაჭვის ხიდზე.

აბობოქრებული მდინარის ტალღებზე მართლაც მოჩანდა შავი თავსაფარი, რომელიც თანდათან იძირებოდა.

ისინი კი, სამი ახალგაზრდა, მათ შორის ორი მფრინავი — ვახტანგ გოშთელიანი და მურმან ფილიანი ხიდის გვერდით მდებარე სალუდეში ვახშმობდნენ. ყვირილი მათაც შემოესმათ. თვალის დახამხამებაში მაგიდა მიატოვეს და ხიდისაკენ გაეშურნენ. ვახტანგი ერთი წუთით შედგა, მაგრამ დაფიქრების დრო აღარ იყო. დაბნეულ ხალხში რაკიღა მშველელი არ ჩანდა, მარდი და მოქნილი მფრინავი ტანსაცმლიანად მდინარეში გადაეშვა და გაშლილი მხარულით განწირულ ქალს დაეწია.

„შავლეჩაქანი, ალბათ, დედაა“ წამით გაუელვა თავში და დღენიადაგ შვილებზე ზრუნვაში თმებდათოვლილი მშობელი დედა გაახსენდა...

ᲗᲐᲚᲘᲤᲐ და მურზაყან გოშთელიანებმა შვიდი შვილი— ექვსი ვაჟი და ერთი ქალი გამოზარდეს. ვახტანგის ერთ-ერთი ძმა — ზაურ გოშთელიანი — შესანიშნავი ჭაბუკი და იმედისმომცემი მოჭიდავე მეათე კლასში სწავლობდა, როცა ყველასათვის მოულოდნელად ხალიჩაზე მიღებული ტრავმის გამო დაიღუპა. მაშინ ვახტანგი საფრენოსნო სასწავლებელში სწავლობდა. დედით ადრე დაობლებული ვახტანგისათვის უმცროსი ძმის დაღუპვა ენით გამოუთქმელი ტრაგედია იყო, მაგრამ მან ვაჟკაცურად გაუძლო მწუხარებას, თანაკურსანტი ნუგზარ მიქიაშვილი იძმო, რომელიც მხარში ამოუდგა და თითქოს დარდიც შეუმსუბუქა.

ვახტანგი უფროს ძმებთან ერთად შინგანაგად განიცდიდა მამის მწუხარებას და ცდილობდა ყოველმხრივ ესიამოვნებინა მამისათვის, დაკოდილ გულზე მალა-მოსავით მოსცხებოდა. მუდამ მხარში ედგნენ ბიჭები მამას, ახალი სახლის მშენებლობაც დაიწყეს.

ლამაზია მესტია და მის თავზე აღმართული ცადაწვდენილი სპორტის ოსტატი): ჩვენი ოჯახი მესტიაში მურზაყან გოშთელიანის სახლობის გვერდით ცხოვრობს. ვახტანგი ჩემ თვალწინ დავაჟკაცდა. საერთოდ, გოშთელიანები განთქმული არიან თავიანთი ზრდილობა-პატიოსნებით, ვაჟკაცობით, მაგრამ, ვფიქრობ, ვახტანგი სხვებისაგან მაინც გამოირჩეოდა. მას ძალზე უყვარდა სპორტი, კარგი მოკრივე და მობურთალი ბალდათ, ერთხანს მთამსვლელობაზე ოცნებობდა, ალბათ, იმიტომაც მიისწრაფოდა ცისკენ...

ᲓᲘᲐᲮ, ვახტანგი არ დაფიქრებულა, ისე გადაეშვა წყალწაღებულის გადასარჩენად. შვილების პატრონი ქალი, კი იხსნა, მაგრამ მდინარის ტალღებთან ბრძოლაში დაღლილი თვითონ დაიღუპა, სიჭაბუკისს შემოაღამდა.

ბიძამ — ვარდენ გოშთელიანმა გვაჩვენა მფრინავი ძმისწულის პირადი უბის წიგნაკი.

ეკზეუპერის ცხოვრებითა და შემოქმედებით სულშეძრულ ჭაბუკ მფრინავს ერთ ადგილას ჩაუწერია: „ადამიანის სული გაცლებით მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ კაცს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ ერთმანეთს ხელი უნდა მივაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული, თქვენ ჩემი, მე — სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე“. მეორეგან კი ვკითხულობთ. „მფრინავს ელოდება ლურჯი ცა, ოქროს სიცოცხლე და შავი დასასრული. მაგრამ მფრინავები კი არ კვდებიან, უბრალოდ მიფრინავენ“...

იქნებ, წინასწარმეტყველურად ყღერდა ეს სიტყვები. ვინ იცის. მთავარი კი ის არის, რომ გოშთელიანისთანა ვაჟკაცები არ კვდებიან, მიფრინავენ და კანდელივით ანათებენ გმირობისაკენ მიმავალ გზას.

დ. ᲒᲔᲓᲔᲜᲘᲫᲔ,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: ვახტანგ გოშთელიანი.

ᲞᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებებით:

1. მიღებულ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი:

ა) მცხეთის რაიონის სოფელ მწვანეშვნის გაუქმების შესახებ;

ბ) მწვანეშვნის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, დიღმის საცდელ-სარემონტო მექანიკური ქარხნისა და დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დასახლებების ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონისათვის მიკუთვნების შესახებ მასთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

2. სახალხო დეპუტატთა მცხეთის რაიონულ და დიღმის სასოფლო საბჭოებში ზემოაღნიშნული დასახლებების ტერიტორიებიდან არჩეულ დეპუტატებს შეუნარჩუნდებათ რწმუნებანი ქ. თბილისის პირველი მაისის სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოში.

* * *

ასპინძის რაიონის ხიზაბავრის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები ვარგავი და თოკი და შეიქმნა ვარგავის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ვარგავში.

ᲥᲐᲚᲗᲐ 39-Ე...

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა მოჭადრაკე ქალთა 39-ე საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე ტურის შეხვედრები.

ჩიბურდანიძემ დაამარცხა ზაიცევა, გაფრინდაშვილმა — ფატალიბეკოვა, კოზლოვსკაიამ — სემიონოვა. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ოთხი ტურის შემდეგ ლიდერობს ჩიბურდანიძე, რომელსაც 3 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲖᲐᲠᲘᲐ ᲕᲝᲡᲢᲝᲙᲐᲡ“ ᲞᲠᲘᲖᲖᲔ

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე ხელბურთელ ვაჟთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. ბოლო ტურის შედეგები ასეთია: იუგოსლავია — სსრ კავშირი I — 16:18 (9:9), საქართველო — სსრ კავშირი (იუნიორები) 34:34 (16:17).

სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა გათამაშებაში ქულათა მაქსიმუმი (8) დააგროვა და მეცხრედ მოიპოვა გაზეთის გარდამავალი პრიზი. მომდევნო ადგილებზე არიან უნგრეთის (4 ქულა), საქართველოს, იუგოსლავიის (3-3) ნაკრები გუნდები და სსრ კავშირის იუნიორი (2) ხელბურთელები.